

სამართლებრივი ფორმალიზმი, როგორც მართლმსაჯულების თეორია

1. სასამართლო მართლმსაჯულების ფორმალისტური თეორია

სამართლებრივი ფორმალიზმი სათავეს იღებს როგორც ბუნე-
ბითი ასევე პოზიტივისტური სამართლიდან. ფორმალიზმი და სა-
მართლებრივი პოზიტივიზმი ერთავე სამართალს ხედავენ, რო-
გორც მეცნიერებას. დოქტრინაში პოზიტივიზმი არის თეორია კა-
ნონის მნიშვნელობის შესახებ, ხოლო ფორმალიზმი არის პოზი-
ტივისტური ახსნა იმის შესახებ, თუ როგორ ფუნქციონირებს სა-
მართლის სისტემა. ფორმალიზმზე, მნიშვნელოვანი გავლენა მოახ-
დინა ჯერემი ბენტამმა (1748-1832), რომელიც მომხრე იყო მოსა-
მართლეთა როლი შეემციებინა უბრალო სამართლის ნორმის შემ-
ფარდებლამდე, რა დროსაც მოსამართლე ყოველგვარი „არასამარ-
თლებრივი ფაქტორების“ გავლენის გარეშე განმარტავდა სამარ-
თლის ნორმას.¹

სიტყვა „ფორმალიზმის“ გულში დევს სამართლის ნორმებზე
დაყრდნობით სასამართლო მართლმსაჯულების განხორციელების
კონცეფცია. ფორმალიზმი არის მართლმსაჯულების გზა, რომლი-
თაც სამართლის ნორმები აღწევენ თავიანთ უზენაესობას. ფორმა-
ლიზმი ანვითარებს იდეას, რომ დაცული უნდა იყოს ის „ენობრივი
ძალა“, რომლითაც სამართლის ნორმაა დანერგილი. ამგვარად, სა-
მართლის ნორმის შეფარდებით აღსრულებდა ის ამოცანები, რომ-
ლებიც კანონმდებლის სპეციფიკური ენობრივი ფორმულირებითაა
გადმოცემული.²

„ფორმალისტი“ შეიძლება აღვწეროთ, როგორც ვინრო, კონსერ-
ვატიული, ცვლილებებისადმი მდგრადი, კაზუისტური, აღწერილო-

¹ From a speech made by Prof. Langdell at the meeting of the Havard Law School Association, November 5 1886.

² Leiter B., Legal Formalism and Legal Realism: What Is the Issue?, University of Chicago Public Law & Legal Theory Working Paper No. 320, 2010.

ბიტი თვალსაზრისით არაზუსტი, მცდარი, ჯიუტი, ავტორიტარული – მაგრამ ასევე მკაცრი, მოკრძალებული, დასაბუთებული, ერთგული, თავშეკავებული.³

ფორმალიზმის მიზანია სამართლის ძირითადი პრინციპების ფორმირება ერთიან სამართლის სისტემაში, რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნება მექანიკურად, ამიტომაც სამართლებრივ ფორმალიზმს ეწოდა „მექანიკური იურისპრუდენცია“.⁴ ფორმალიზმის განმარტებით, მოსამართლე უნდა შეიბოჭოს სამართლის ნორმის ტექსტით დადგენილი შინაარსით, რაც ნიშნავს იმას, რომ მოსამართლეები სამართლის ნორმის კრიტიკული შეფასებების შესაძლებლობას მოკლებულნი არიან.⁵ დოქტრინაში ფორმალიზმს ასევე მოიხსენიებენ, როგორც „ავტონომიურ დისციპლინად“,⁶ იმის გათვალისწინებით, რომ მოსამართლეები გადაწყვეტილების მიღებისას იზიარებენ მხოლოდ ფაქტებსა და კანონებს, მათთვის ისეთი საკითხები, როგორიცაა მორალი და პოლიტიკა, მართლმსაჯულების განხორციელებისას მიიჩნევა არარელევანტურად.⁷ ავსტრიელი თეორეტიკოსი ჰანს კელზენი ავითარებს თავის თეორიას სახელწოდებით „სამართლის წმინდა თეორია“, რომელიც დაფუძნებულია კონცეპტუალიზმზე და კანონის აბსტრაქტულ კონცეფციაზე.⁸ სწორედ აქ ჩნდება აზრი, რომ კანონი არის ნორმების იერარქიული სტრუქტურა. ნორმის ფუნქციაა იმოქმედოს როგორც „აღამიანის მოქმედების სტანდარტი“ და „როგორც ინტერ-

³ Posner R.A., *Legal Formalism, Legal Realism, and the Interpretation of Statutes and the Constitution*, Case Western Reserve Law Review, Vol.37, No.2, 1986.

⁴ Schauer F., *Formalism*, The Yale Law Journal, Vol. 97, No. 4, 1988, 509-548.

⁵ Kronman A.T., *The Lost Lawyer: Failing Ideals of the Legal Profession*, Harvard University Press, 1993, 171.

⁶ Posner R.A., *How Judges Think*, Harvard University Press, 2008, 42.

⁷ Leiter B., *Legal Formalism and Legal Realism: What Is the Issue?* Legal Theory, Vol.16, No.2, 2010, 111-133.

⁸ Keating G.C., *Legal Rationality and the Rule of Law*, Princeton University, 1993, 42.

⁹ Kelsen H., *The Pure Theory of Law*, Translated by M. Knight, University of California Press, 1967, 1.

პრეტაციის კურსი“ არის ფორმალისტური თეორიის ძირითადი ამოსავალი წერტილი. კელზენმა ილუსტრაციისთვის განმარტა – „სამართლის ნორმის გამოყენების ფორმალისტური მეთოდი შეადარა სახაზავს მოცემული ობიექტის სიგრძის გასაზომად, სანამ სახაზავი იქნება იგივე მოცემული ობიექტიც ყოველთვის იგივე ზომის იქნება“. ¹⁰ აღნიშნული კი უზრუნველყოფს სამართლის სტაბილურობას და განჭვრეტადობას. როგორც ჩანს, კანონისადმი კელზენის მიდგომა არის ფორმალისტური. სწორედ ასეთი კელზენისეული სამართლებრივი სინმინდის გამო, პოზნერმა ფორმალისმს უწოდა „სასამართლო მართლმსაჯულების ოფიციალური თეორია“. ¹¹

ფორმალიზმი არის სასამართლო მართლმსაჯულების ერთ-ერთ ყველაზე გავლენიანი და მნიშვნელოვანი თეორია, სადაც მნიშვნელობა ენიჭება კანონის წინასწარ განსაზღვრულობას და განჭვრეტადობას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს საზოგადოებაში სტაბილურობის განცდას; ¹² სამართლის ნორმის მიზანში განერილი ფაქტები რაციონალურად უზრუნველყოფენ სამართლიანი გადაწყვეტილების განჭვრეტადობას, ამიტომაც ფორმალისტების განმარტებით, ნებისმიერი რაციონალური და სამართლიანი მოსამართლე მიიღებს სამართლიან გადაწყვეტილებას სამართლის ნორმების ფაქტებთან მიმართებით. ¹³

ფორმალისტები, როდესაც განმარტავენ, მართლმსაჯულების მეთოდს, რომლის მიხედვით მოსამართლეები გადაწყვეტილებებს იღებენ ფაქტებზე შესაბამისი სამართლის ნორმების შეფარდებით, გულისხმობენ იმას, რომ ისინი ცდილობენ გადაწყვიტონ სასამართლო დავები სამართლის ნორმებში არსებული ტერმინების განსაზღვრით, რათა მოიცვან ან გამორიცხონ საქმის ფაქტობრივი

¹⁰ იქვე.

¹¹ Posner R.A., *How Judges Think*, Harvard University Press, 2008, 41.

¹² Kairys D., Introduction, in: *The Politics of Law, A Progressive Critique*, Edited by D. Kairys, New York, 1982, I-2.

¹³ Schauer F., Formalism, *The Yale Law Journal*, Vol.97, No.4, 1988), 509-548.

გარემოებები.¹⁴ ფორმალისტური არგუმენტაცია დედუქციური ხასიათისაა და შეესაბამება დედუქციური ლოგიკის სილოგიზმის სტრუქტურას,¹⁵ სადაც საქმის ფაქტობრივი გარემოებებისადმი სამართლის პრინციპების შეფარდებითა და შემდგომ დედუქციური სილოგიზმით, დასკვნის გამოტანით, მიიღება სასამართლო გადაწყვეტილება.¹⁶

ფორმალისტები ამტკიცებენ, რომ მოსამართლეები და სხვა საჯარო თანამდებობის პირები უფლებამოსილნი უნდა იყვნენ განახორციელონ მხოლოდ სამართლის ნორმის ტექსტის ინტერპრეტაცია, რადგან სასამართლო ხელისუფლების აღჭურვა უფლებამოსილებით, განსაზღვრონ თუ რა უნდა იყოს კანონი, ვიდრე განმარტონ ნორმის შინაარსი, არღვევს ხელისუფლებათა უფლებამოსილების გამიჯვნის პრინციპს. მათი შეხედულებით სასამართლო ხელისუფლებამ არასოდეს არ უნდა განახორციელოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებები. ისინი ეწინააღმდეგებიან მოსამართლეთა უფლებამოსილებას, შეცვალონ კანონის შინაარსი საკუთარი შეხედულებების განხორციელების მიზნით, რადგან აღნიშნული ძირს უთხრის კანონის უზენაესობას.¹⁷

ფორმალიზმის თეორიის მიხედვით, კანონის გამოყენების პროცესის პროგნოზირებადობა და სამართლებრივი სიზუსტე არიან სამართლის სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტები. კერძოდ, სამართლის ნორმის ტექსტის ძირითად მნიშვნელობაზე ფოკუსირებით, სასამართლო ინტერპრეტაციისას უზრუნველყოფს კანონმდებლების მოლოდინების იმ ყველაზე ხელშესახები მტკიცე-

¹⁴ Grey T.C., Langdell's Orthodoxy, University of Pittsburgh Law Review, Vol.45, No.1, 1983, 3.

¹⁵ Posner R.A., The Jurisprudence of Skepticism, Michigan Law Review, Vol.86, No.5, 1988, 831.

¹⁶ Posner, R.A., How Judges Think, Harvard University Press, 2008, 41.

¹⁷ Frederick Schauer, Formalism, The Yale Law Journal, Vol. 97, No. 4 (Mar., 1988), pp. 509-548

ბულებების და იურიდიული მასალის წარმოჩენას, რომელიც ყველაზე ხელმისაწვდომი და ალქმადია ფართო საზოგადოებისთვის.¹⁸

მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს მიერ დამტკიცებული ტექსტია კანონი, ხოლო პარლამენტის წევრების დასაბუთებულობა კანონის მიზნისა და ფუნქციის შესახებ არა, რადგან სამართლის ნორმის ტექსტია კანონის ალქმის წყარო. ამ თვალსაზრისით, უსამართლო იქნებოდა გადაწყვეტილების დასაბუთების დაყრდნობა, ისეთ წყაროებზე, როგორიცაა მაგალითად საკანონმდებლო ისტორია, განმარტებითი ბარათი და ა.შ, როგორც კანონმდებლის განზრახვის ინდიკატორი (*non quod voluit sed quod dixit*).¹⁹ კანონმდებლების განზრახვა ან ნორმების მიზანი, არ არის ადვილად ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისთვის და ამასთანავე, ისინი მოწყვლადია სხვადასხვა ინტერპრეტაციებით. ფორმალისტები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ სამართლებრივი ინტერპრეტაციის მოპოვება სამართლის ნორმის ტექსტის გარდა სხვა წყაროდან, ინვესტ მოქალაქეების წინაშე ისეთი ვალდებულებების დაკისრებას, რის შესახებაც მათ არ იცოდნენ თავიანთი ქმედებების განხორციელებამდე. ამრიგად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საჯაროდ გამოქვეყნებული სამართლის ნორმის ტექსტის გარდა სხვა საკითხების ჩართვა, შეიძლება ჩაითვალოს როგორც **ex post facto** ვალდებულებების შექმნად, რაც აშკარად ეწინააღმდეგება კანონის უზენაესობას. ფორმალისტების შეხედულებით, პოზიტივისტი მოსამართლე უნდა შეიბოჭოს მომწესრიგებელი ნორმის ტექსტით, მაშინაც კი, თუ ამ ნორმის შეფარდება გამოიწვევს არასამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას.²⁰

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობის ეტაპობრივად დახვეწისა და გაჯანსაღების ამოცანას საუკეთესოდ ასრულებენ სასამართლოები, რადგან ისინი, საკანონმდებლო ორგანოებზე უფრო

¹⁸ Posner R.A., Legal Formalism, Legal Realism, and the Interpretation of Statutes and the Constitution, Case Western Reserve Law Review, Vol.37, No.2, 1986.

¹⁹ იქვე.

²⁰ Stokes M., Formalism, Realism, and the Concept of Law, Law and Philosophy, Vol.13, No.2, 1994, 115-159.

მჭიდრო კავშირში არიან სოციალურ, ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ რეალობებთან, სამართლებრივი ფორმალიზმის თეორია, სასამართლო ხელისუფლებას უზღუდავს შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღოს სამართლის განვითარების პროცესში. მათი განმარტებით, სამართლის განვითარება არის საკანონმდებლო ხელისუფლების ამოცანა, ხოლო სასამართლოს მხრიდან სამართალი შეიძლება იყოს პროგრესირებადი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი იმოქმედებს კონკრეტული პრინციპების დაცვით, კერძოდ – მოსამართლის როლი განიხილება მხოლოდ კანონის განმარტების თვალსაზრისით და არა ანალიზის კუთხით.²¹

ფორმალიზტები ხაზს უსვამენ სამართლის ნორმების ლეგიტიმურობისა და ავტორიტეტულობის მნიშვნელობას. ზოგადად, სამართლის ნორმებს ახასიათებთ „ავტორიტეტულობა“ ორი მიზეზით. პირველ რიგში, ისინი განასახიერებენ პოლიტიკური ფილოსოფიის და მთელი ღირებულებების კრებულს; მეორე რიგში, კანონები მიიღება კანონმდებლის მიერ, რომელსაც აქვს მათი ამოქმედების უფლებამოსილება.²² მათი განცხადება, რომ ყველა ლეგიტიმური უფლებამოსილება მომდინარეობს კანონმდებლებისგან, არ არის სიახლე, რადგან უმეტეს პოლიტიკურ და სამართლებრივ სისტემებში არსებობს სამართლებრივი უფლებამოსილების ინსტიტუტი ან ინსტიტუტების ჯგუფი, რომლებსაც აქვთ კანონშემოქმედობის ლეგიტიმაცია. ფორმალიზმი ამით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სისტემაში უნდა არსებობდეს ერთადერთი ლეგიტიმური, პოლიტიკური ავტორიტეტის მქონე საკანონმდებლო ორგანო, კერძოდ: 1. ერთადერთი ინსტიტუტი, რომელსაც შეუძლია ლეგიტიმურად განახორციელოს პოლიტიკური ძალაუფლება ხალხზე, არის ის, რომელსაც ხალხმა მიანიჭა ძალაუფლება. 2. ამ ინსტიტუტებს შეუძლიათ განახორციელონ მხოლოდ უფლებამოსილებები, რომლებიც მათ მიანიჭებული აქვთ. 3. ამ უფლებამოსილების განხორციელების გზა უნდა ასახავდეს ხალხის ნებას ან პრეფერენ-

²¹ Leitter B., Positivism, Formalism, Realism, Columbia Law Review, Vol.99, No.4, 1999, 1138-1164.

²² Stokes M., Formalism, Realism, and the Concept of Law, Law and Philosophy, Vol.13, No.2, 1994, 115-159.

ციებს. ამასთანავე, ის ხაზს უსვამს, რომ სასამართლო ხელისუფლება არ უნდა იყოს დაკავებული სამართალშემოქმედებითი საქმიანობით, სასამართლომ უნდა მოიძიოს უკვე არსებული სამართლის ნორმა და განმარტოს ის კანონმდებლის მიერ სამართლის ნორმის ტექსტით დადგენილი შინაარსის ფარგლებში. სასამართლოს უფლება არა აქვს შევიდეს სამართლის ნორმის სიღრმეებში და შეაფასოს ნორმის მორალურობა ან მისი ღირებულებითი თვისებები, მან უნდა განმარტოს ნორმის ტექსტი ისე, რომ ყველაზე რელევანტურად იყოს ნორმა მისადაგებული საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან. ფორმალისტები თვლიან, რომ გადაწყვეტილების მიღებისას სამართლის ნორმა არ საჭიროებს მორალურ შეფასებას, რადგან მიაჩნიათ, რომ მართლმსაჯულების განხორციელებისას, მოსამართლეები მსჯელობენ სამართლებრივ საკითხებზე და იღებენ გადაწყვეტილებას სილოგიზმის მეთოდით, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია ლოგიკურ, ინდუქციურ და დედუქციურ ანალიზთან.²³

ფორმალისტი მოსამართლისთვის გადაწყვეტილების დასაბუთებულობა იწყება სამართლის ნორმის ტექსტის ფარგლებში და იქვე მთავრდება, რადგან საქმის ფაქტობრივი გარემოებისთვის რელევანტურ სამართლის ნორმაში, მოსამართლე აუცილებლად იპოვის იმ მიზნებს და განზრახვებს, რომლებიც დაეხმარებიან მას გადაწყვეტილების დასაბუთებაში. ფორმალისტებისთვის ნორმის დისპოზიციიდან თავს იჩენენ სამართლის პრინციპები (ჯონ ოსტინი უწოდებს – “written performatives”), შესაბამისად, მოსამართლეებმა უნდა შეძლონ კანონის ტექსტში ამოიკითხონ ის შინაარსი, რომელითაც დაუკავშირებენ სამართლის ნორმას სამართლის პრინციპებს.²⁴ კერძოდ, სასამართლოში წარმოდგენილი შემთხვევისათვის რელევანტური პრინციპების შეფარდების შემდგომ, მოსამართლემ უნდა გამოკვეთოს ქვედა იერარქიის ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სადავო შემთხვევების გადაწყვეტას. ფორმალისტების მიხედვით, ეს პროცესი შედგება კონცეპტუალური ანალიზის და

²³ იქვე

²⁴ Shapiro S.J., *Legality*, Harvard University Press, 2011, 242.

დედუქციური განსჯის კომბინაციისგან. კონცეპტუალური ანალიზით, მოსამართლემ უნდა გააანალიზოს ის აბსტრაქტული ცნებები, რომლებიც განერილია პრინციპებში (მაგალითად კერძო საკუთრება, კანონის ნება, ინტერესი, მიზეზი, განზრახვა), რაც თავის მხრივ აღჭურავს მოსამართლეს საჭირო ცოდნით, კონკრეტული სამართლის პრინციპის თაობაზე. დედუქციური განსჯით კი, მოსამართლემ უნდა გამოიყენოს ეს საჭირო ინფორმაცია იმისთვის, რომ გამოკვეთოს ქვედა იერარქიის ნორმები. აღნიშნული პროცესი ძირითად როლს ასრულებს სილოგიზმის მეთოდით ქვედა იერარქიის ნორმების გამოკვეთაში. სპეციალური ნორმების გამოკვეთის შემდგომ მოსამართლეს შეუძლია შეუფარდოს კონკრეტული სამართლის ნორმა, წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.²⁵ ამ ფინალურ საფეხურზე ქვედა იერარქიის ნორმები მიიჩნევა პრიორიტეტულად, ვიდრე ფაქტობრივი გარემოებები. შედეგად, ამგვარი მეთოდი და დასკვნები უზრუნველყოფენ შემთხვევაზე მიღებული გადაწყვეტილების სწორ სამართლებრივ დასაბუთებას.²⁶ ფორმალისტების ამ მეთოდის მიხედვით აშკარაა, რომ სასამართლო მართლმსაჯულება არის მორალური განსჯისგან სრულად თავისუფალი პროცესი, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსამართლე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში ვერ მიიღებს მსჯელობის მორალურ ასპექტს. კერძოდ, კონკრეტულ სამართალწარმოებაში მას არ შეუძლია შეაფასოს გადაწყვეტილების სამართლიანობისა და თანასწორობის ხარისხი, პრეცედენტის შექმნის გრძელვადიანი სოციალური და ეკონომიკური შედეგები და დავის გადაწყვეტის სამართლებრივი გზების ალტერნატიულობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პრინციპების სპეციალური ნორმების გამოკვეთა და შემთხვევების ფაქტობრივად გადაწყვეტა ხდება სოციალური მეცნიერებების ან მორალური თეორიების დახმარების გარეშე.²⁷

²⁵ იქვე.

²⁶ იქვე.

²⁷ იქვე, 244.

სამართლებრივი ფორმალიზმის ძირითადი საკითხები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგ ოთხ ძირითადი მახასიათებელში:²⁸ 1) სასამართლო შეზღუდულობა: ფორმალისტური მართლმსაჯულების მეთოდის მიხედვით, სასამართლოს როლი უკიდურესად შეზღუდულია. კერძოდ, საქმის განხილვისას მოსამართლეებს ევალებათ მოიძიონ და შეუფარდონ სამართლის ნორმა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და არ არიან უფლებამოსილნი საკუთარი მორალური ან სოციალური პოლიტიკის შეხედულების შესაბამისად განმარტონ სამართლის ნორმა. 2) განსაზღვრულობა: ფორმალისტები არა მხოლოდ ინარჩუნებენ იმ შეხედულებას, რომ მოსამართლეები ვალდებული არიან საქმის გადასაწყვეტად მოიძიონ და შეუფარდონ რელევანტური კანონი, ისინი ასევე ფიქრობენ, რომ რელევანტური კანონი სამართლის სისტემაში ყოველთვის მოიძებნება. მათი ხედვით, კანონმდებლობა არის ამომწურავი და სრულად განსაზღვრული, შესაბამისად, ყველა სამართლებრივ კითხვას აქვს ერთი და მხოლოდ და მხოლოდ ერთი სწორი პასუხი. ფორმალისტები ამგვარად უარყოფენ, რომ არსებობს შემთხვევები, რომლებიც ვერ წესრიგდება სამართლებრივი ნორმით, ანუ ისინი უარყოფენ კანონმდებლობაში სიცარიელეების, უზუსტობების და კოლიზიების არსებობას. თუმცა, მოსამართლეს არ აქვს უფლება თქვას, რომ არ არსებობს რელევანტური კანონი, რადგან ფორმალისტური თეორიის მიხედვით ყოველთვის არსებობს დავის გადამწყვეტი სწორი პასუხი და მოსამართლეები ვალდებული არიან მოიძიონ და გამოიყენონ იგი. 3) კონცეპტუალიზმი: თუ მოსამართლეებმა უნდა მოიძიონ კანონი, მაშინ ფორმალისტური სამართლის თეორიამ უნდა უზრუნველყოს, მისი მოძიების შესაძლებელობა. ამგვარი მიდგომით, ფორმალისტები უგულებელყოფენ იმ დაშვებას, რომ კანონმდებლობა ყალიბდება იმ კანონებით, რომლებიც ვრცელდება კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე. ასევე, ისინი გამორიცხავენ იმ გარემოებას, რომ ნორმები იქნება უსასრულო რაოდენობის და შეუძლებელია ისინი ყველასთვის იყოს ცნობილი. ფორმალისტებს

²⁸ Kronman A.T., *The Lost Lawyer: Failing Ideals of the Legal Profession*, Harvard University Press, 1993, Chapter 4.

ხშირად უწოდებენ „კონცეპტუალისტებს“.²⁹ „კონცეპტუალიზმის“ თეორიის მიხედვით, ქვედა იერარქიის სამართლის ნორმების ერთობლიობა წარმოიშობა ზოგადი პრინციპებიდან, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ აბსტრაქტულ ცნებებს. ამ მოდელის მიხედვით, კანონი ამაგრებს პირამიდის ძირს, ხოლო სამართლის პრინციპები მდებარეობენ მის მწვერვალსა და თხემში. აპექსში არსებული პრინციპების ცოდნით მოსამართლეს შეუძლია გამოკვეთოს დაბალი იერარქიის რეგულაციები. ამ პრინციპების აბსტრაქტულობა უზრუნველყოფს არა მხოლოდ სამართლის ცოდნასა და განსაზღვრულობას, არამედ სამართლის სისტემის კონცეპტუალურ წესრიგსა და იერარქიას. კანონების უმეტეს ნაწილზე გავლენას ახდენს რამდენიმე სამართლის პრინციპი, ხოლო მათში მითითებული აბსტრაქტული ცნებები კი თავის მხრივ კლასიფიკაციას უწევენ კანონებს. 4) სასამართლო მართლმსაჯულების „სამართლებრივი სინმინდე“: საქმის განხილვისას მოსამართლეებმა უნდა გადაწყვიტონ შემთხვევები მორალური განსჯის გამოყენების გარეშე. მათ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა აღმოაჩინონ ზოგადი სამართლებრივი პრინციპები, გამოკვეთონ ქვედა იერარქიის კანონები და მორალური შეფასების გარეშე მოარგონ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მოსამართლეებმა შეიძლება გამოიყენონ მხოლოდ ლოგიკა, რათა დედუქციის, ინდუქციის და კონცეპტუალური ანალიზის ოპერირება მოახდინონ.

2. სამართლებრივი ფორმალიზმის კრიტიკა

დოქტრინაში სამართლებრივი ფორმალიზმის მართლმსაჯულების თეორიას მრავალი კრიტიკოსი ყავს. ისინი აკრიტიკებენ ფორმალისტების იდეას, რომ სამართალი არის მორალური ფაქტორებისგან გამიჯნული, ასევე, არ მიაჩნიათ რომ სამართალი დასრულებული, სრულყოფილი სისტემაა არ ეთანხმებიან ფორმალისტებს იმაში, რომ კანონი არის ნორმებისა და პრინციპების ერთია-

²⁹ Nunez A., Some Realism for Hard Cases, Theory and Practice of Legislation, Vol.13, No.1, 2005, 94.

ნობა და დამოუკიდებელია პოლიტიკისგან და სოციალური ინსტიტუციებისგან.³⁰

სამართლებრივი ფორმალიზმის მიხედვით, თანამედროვე სამართლებრივი რეჟიმები, ისეთები როგორიცაა აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში, არიან თანმიმდევრულნი და დასრულებული ნორმატიული სისტემები. ფორმალიზმის თეორიის ძირითადი იდეა დევს იმაში, რომ ყოველ სამართლებრივ დავას აქვს კანონმდებლობით გარანტირებული სწორი, სამართლიანი პასუხი; ხოლო მოსამართლის როლია ამ სწორი პასუხის მოძიება. კერძოდ, მოსამართლეები მოარგებენ მთელი რიგი პრინციპების წყებას ხელმისაწვდომ სამართლებრივ მასალას და შემდეგ, ამ ნორმების გამოყენებით, ასაბუთებენ გადაწყვეტილებას.³¹ სამართლებრივი რეალიზმის შეხედულებით კი, კანონმდებლობა არ არის ის იდეალური ფორმულა, რომელიც მოსამართლეებს უკარნახებს ყველა დავის გადამწყვეტ სამართლიან შედეგს.³² ოლივერ ვენდელ ჰოლმის განმარტებით, სამართალი არის არა ლოგიკა, არამედ გამოცდილება, რომელიც ყალიბდება დროთა განმავლობაში.³³ მას უერთდება როსკო პაუნდი, რომლის განმარტებით, მოსამართლეები არ არიან მექანიკური გამომყენებლები ნორმებისა, რომლებიც წააგავენ იმ „სლოტ-აპარატებს“, სადაც შეიძლება ფაქტის ჩაგდება და სანაცვლოდ შემთხვევის რელევანტური ნორმის მიღება.³⁴ ამიტომაც რეალისტები თვლიან, რომ სამართლის ნორმები კი არაა გარანტი სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებისა, არამედ მართლმსაჯულების განხორციელებისას გათვალისწინებული უნდა იყოს საქმის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები და მასთან დაკავშირე-

³⁰ Shapiro S.J., *Legality*, Harvard University Press, 2011, 240; Black's Law Dictionary, 7th Ed., 1999, 913; Quevedo S.M., *Formalist and Instrumentalist Legal Reasoning and Legal Theory*, California Law Review, Vol.13, No.1, 1985, 119-157.

³¹ Shapiro S.J., *Legality*, Harvard University Press, 2011, 239.

³² Altman A., *Legal Realism. Critical Legal Studies and Dworkin*, Philosophy & Public Affairs Vol.15, No.3, 1986, 205, 206.

³³ Holmes O.W., *The Common Law*, Boston, 1909.

³⁴ Pound R., *Law and Morals*, Michigan Law Review, Vol.23, No.5, 1925, 59.

ბული ნებისმიერი გარემოება.³⁵ რეალისტების ასეთ კრიტიკას შეუერთდა შაპირო, რომელსაც მიაჩნია, რომ გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება დამოკიდებულია არა მხოლოდ ნორმის ტექსტის შინაარსზე, არამედ მის მიღმა არსებულ ფაქტორებზეც; რამეთუ არ არსებობს ჯადოსნური სახელმძღვანელო, სადაც განერილი იქნება ყველა „გეგმა“, რაც უზრუნველყოფს სამართლებრივი საკითხის გადაწყვეტას. მოსამართლეები პრაქტიკული საქმიანობისას, როგორც წესი, არ ზღუდავენ საკუთარ თავს სამართლის ნორმის ტექსტით და ხშირად მიმართავენ მორალურ არგუმენტაციას. რეალისტები ფორმალისტების წარმოდგენას თეორიის სრულყოფილების შესახებ არყევენ „რთული შემთხვევებით“,³⁶ რამეთუ „რთული შემთხვევები“ ისევე, როგორც ჰარტის ნორმის პენუმბრულობა ან „ღია ტექსტურის“ ფენომენი სამართლის განუყოფელი ნაწილია და დაკავშირებულნი არიან მიზეზ-შედეგობრივი კავშირით სამართალში არსებულ კოლიზიებთან, ხარვეზებთან, ნორმის ბუნდოვანობებთან სიცარიელებებთან, რაც თავის მხრივ გულისხმობს სამართლის სისტემის არასრულყოფილებას.³⁷ ამდენად, მოსამართლე, რომელიც ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება, ვერ ეყრდნობა მხოლოდ „სამართლებრივ“ დასაბუთებას, ამიტომაც მას სხვა გზა არ რჩება, გარდა იმისა რომ, მიმართოს მორალურ ღირებულებებსა თუ პოლიტიკურ არგუმენტებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც ფორმალისტი მოსამართლე აღმოჩნდება საკანონმდებლო დეფიციტში, მიმართავს ფორმალისტური თეორიით დადგენილი ნორმატიული საზღვრების მიღმა არსებულ წყაროებს, მაგალითად როგორიცაა მორალი და პოლიტიკა.³⁸

სხვა კრიტიკოსების მსგავსად, ჰარტიც აკრიტიკებს ფორმალისტების თეზას, რომ სამართალი არის დასრულებული, სრულყო-

³⁵ Leitter B., Positivism, Formalism, Realism, *Columbia Law Review*, Vol.99, No.4, 1999, 1138-1164.

³⁶ Nunez A., Some Realism for Hard Cases, *Theory and Practice of Legislation*, Vol.13, No.1, 2005, 94.

³⁷ Shapiro S.J., *Legality*, Harvard University Press, 239.

³⁸ იქვე, 247.

ფილი სამართლის სიტემა. კერძოდ, ის არ უარყოფს, რომ სამართლის სისტემა გარკვეულწილად განსაზღვრულია და მონესრიგებული, თუმცა უშვებს, რომ სამართლის სისტემაში შეიძლება არსებობდეს გარკვეული ნორმატიული სიცარიელებები, კოლიზიები და ა.შ.³⁹ ამასთანავე, მისთვის მხოლოდ სამართლებრივი მოუწესრიგებლობით კი არ ისაზღვრება სამართლის სისტემის ხარვეზი, არამედ ასევე ტექსტის ლინგვისტური ხასიათის ბუნდოვანებით. კერძოდ, სამართლის ნორმის ტექსტი შეიძლება იყოს ისე გადმოცემული, რომ მკაფიოდ ვერ ასახავდეს ფაქტობრივ გარემოებებს. ჰარტი განმარტავს, რომ ამ დროს საქმე გვაქვს „პენუმბრასთან“⁴⁰. პენუმბრული შემთხვევები კი ვერასოდეს ამოიძიკვება, რადგან ლინგვისტიკაში მრავლადაა ზოგადი ხასიათის ტერმინები, რომლებსაც ახასიათებთ – „ღია ტექსტურა“.⁴¹ ჰარტისთვის სამართლის პრინციპები შეიცავენ აბსტრაქტულ მცნებებს, რადგან ტექსტს გააჩნია „ღია ტექსტურა“ რაც გულისხმობს იმას, სამართლის ნორმის ტექსტში არსებული ტერმინები ბუნდოვანია და იძლევიან ზოგადი ხასიათის „ინსტრუქტაჟს“, რომლებიც თავის მხრივ საჭიროებენ მოსამართლეთა მხრიდან დაზუსტებას.⁴² ამრიგად ლინგვისტური „ღია ტექსტურის“ ფენომენი და სამართლის ნორმის პენუმბრულობა არიან იმის თვალსაჩინო მაგალითი, რომ ნებისმიერი სამართლის ნორმის ტექსტი გარემოცული იქნება იმ შინაარსის შემთხვევებით, რომლებიც არ არიან გათვალისწინებული სამართლის ნორმების ტექსტში. აშკარაა, რომ ამ დროს სასამართლო დისკრეცია გარდაუვალია, რადგან შეუძლებელია სამართლის ნორმით განსაზღვრული ტექსტის შინაარსით გადმოცემული იქნას ის ქცევის ნესები, რომელიც გადაჭრიდა ყველა და განსაკუთრებით იმ

³⁹ იქვე, 248.

⁴⁰ ჭეიშვილი ი., „პენუმბრის“ მნიშვნელობა სამართალში და მისი შინაარსობრივი ევოლუცია ჰარტამდე, ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, N1, 2018.

⁴¹ Hart H.L.A., *Essays in Jurisprudence and Philosophy*, Oxford University Press, 1983, 63-64.

⁴² Shapiro S.J., *Legality*, Harvard University Press, 248.

საკითხებს, რომლებიც აღმოჩნდნენ „დასრულებული“ ტექსტის მიღმა.⁴³

სამართლებრივი პოზიტივიზმისგან განსხვავებით ფორმალიზმის შეხედულებით, მართლმსაჯულების განხორციელებისას კანონი უნდა იქნას განმარტებული სოციალური ფაქტორების შეფასების გარეშე.⁴⁴ ჰარტი არ ეთანხმება სამართლის ნორმის სოციალური ფაქტორების გარეშე განმარტებას,⁴⁵ რადგან მიიჩნევს, რომ მოსამართლეები ნორმის ინტერპრეტაციისას არ უნდა ეყრდნობოდნენ, მხოლოდ „ლოგიკას“. სოციალური ფაქტები, რომლებიც აღწერილია ნორმის შინაარსში, მნიშვნელოვანია იმით, რომ განსაზღვრავენ ქცევის წესს.⁴⁶ ამ თვალსაზრისით ჰარტი მის პოზიტივისტური სამართლის თეორიას მიჯნავს ფორმალიზმისგან. ის არა მხოლოდ ემოჯნება ფორმალიზმს, არამედ მისი პოზიტივისტური თეორიას მიიჩნევს ანტიფორმალისტურს.⁴⁷

აშკარაა, რომ სამართალი უნდა ასახავდეს სოციალურ ფაქტორებს, რადგან სოციალური გარემოსადმი მისადაგება სამართლის ძირითადი ამოცანაა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ სოციალური ფაქტორი არ უზრუნველყოფს სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას, რამეთუ ყველა შემთხვევა იქნებოდა მართივი გადასაწყვეტად, მხოლოდ შესაბამისი ნორმის მოძიებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოზიტივისტური მიდგომა, რაშიც მოაზრებულია სოციალური საკითხები, ლინგვისტიკა და ლოგიკური ანალიზი საკმარისი არაა სამართლებრივი საკითხის გადასაწყვეტად, ამიტომაც კანონის შინაარსის განსაზღვრისას მოსამართლემ საჭიროა, პირველ რიგში გამოკვეთოს ნორმის მორალური ფასე-

⁴³ Hart H.L.A., *Essays in Jurisprudence and Philosophy*, Oxford University Press, 1983, 103.

⁴⁴ Leitter B., *Positivism, Formalism, Realism*, Columbia Law Review, Vol.99, No.4, 1999, 1138-1164.

⁴⁵ Shapiro S.J., *Legality*, Harvard University Press, 238, 247.

⁴⁶ იქვე.

⁴⁷ Hart H.L.A., *Essays in Jurisprudence and Philosophy*, Oxford University Press, 1983, 62-66.

ულობები.⁴⁸ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივი შინაარსის განსაზღვრის დროს, სოციალური ფაქტების მორალურზე უპირატესად მიჩნევით, პოზიტივისტი არ მოიაზრებს სასამართლო გადაწყვეტილებას აბსოლუტურად მორალისგან გამიჯნულს, პირიქით პოზიტივიზმი განსაზღვრულ შემთხვევებში მოსამართლეებისგან მოითხოვს, ისარგებლონ პოლიტიკური არგუმენტაციებით, რაც თავის მხრივ გულისხმობს მორალური ღირებულებების გათვალისწინებას.⁴⁹

ფორმალიზმის თეორიის მიხედვით, მოსამართლე ვალდებულია იპოვოს საქმისათვის რელევანტური სამართლის ნორმა, რომელიც აუცილებლად მოიძებნება სამართლის სისტემაში და გადაწყვეტილების დაასაბუთოს მორალური და ზნეობრივი განსჯის გარეშე.⁵⁰ დოქტრინაში კრიტიკოსები ფორმალიზმის ამ თეზას აკრიტიკებენ იმით, რომ სამართლებრივად შებოჭილი მოსამართლეები, ზოგჯერ გადაწყვეტილების მიღებისას ეყრდნობიან კანონის ტექსტის მიღმა არსებულ ფაქტორებს, რაც ნიშნავს, იმას რომ იქცევიან ფორმალისტური თვალსაზრისით სამართლებრივად შეუსაბამოდ.⁵¹ სხვა სიტყვებით, რომ ითქვას პრაქტიკული თვალსაზრისით მართლმსაჯულება მოქმედებს სხვანაირად, კერძოდ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ „რთული შემთხვევები“ სულ იარსებებს სამართლებრივ რეალობაში, მოსამართლე გადაწყვეტილების მიღებისას იძულებულია გადაწყვეტილება დაასაბუთოს მორალური ფასეულობებზე დაყრდნობით.⁵² მოსამართლე ამ დროს სასამართლო გადაწყვეტილებას ასაბუთებს იმ მორალური ფასეულობებზე დაყრდნობით, რაც განერილია სამართლის პრინციპებში.⁵³

⁴⁸ Leitter B., Positivism, Formalism, Realism, Columbia Law Review, Vol.99, No.4, 1999.

⁴⁹ Shapiro S.J., Legality, Harvard University Press, 251.

⁵⁰ იქვე, 240.

⁵¹ Sebok A., Legal Positivism in American Jurisprudence, Cambridge University Press 1998.

⁵² Leitter B., Positivism, Formalism, Realism, Columbia Law Review, Vol.99, No.4, 1999.

⁵³ Shapiro S.J., Legality, Harvard University Press, 238.

შაპირო აკრიტიკებს ფორმალისტების მორალისგან სამართლის გამიჯვნის იდეას, რადგან მიაჩნია, რომ საზოგადოებაში მორალური ფასეულობების შეფასების დაბალი დონე, განაპირობებს სამართლებრივი თვითშეგნების დაკნინებას.⁵⁴ მისი განმარტებით, გაურკვეველია თუ როგორ უნდა დაიხვეწოს სამართალი მორალური შეხედულებების ქრილში, თუ სამართლებრივი ფორმალიზმის განმარტებით, მოსამართლეებს არა აქვთ უფლებამოსილება გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნონ მორალურ ფაქტორებს.⁵⁵ შაპიროს განმარტებით, მორალური შეხედულების დიაპაზონი, მაგალითად – ეთიკურიდან დანყებული, პრაგმატულობით გაგრძელებული და საბოლოოდ პოლიტიკურით დამთავრებული, არის ის ძირითადი კრიტერიუმები, რომლებიც უნდა იყვნენ გათვალისწინებულნი გადაწყვეტილების მიღებისას.⁵⁶ მისი განმარტებით, **ეთიკურში** იგულისხმება მაგალითად ის, თუ რას ითხოვს სამართალი კონკრეტული შემთხვევისგან. კერძოდ, ქცევის წესსა და პიროვნულ თვისებებს შორის, რომელი წარმოადგენს ღირებულს და რომელი მანკიერს, დადებითს ან უარყოფითს. ამასთანავე, ყურადღება უნდა მიექცეს პროცედურას, თუ რამდენად სამართლიანია აღნიშნული ეთიკური შეფასების პროცესი;⁵⁷ **პრაგმატულ** საკითხებში იგულისხმება კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისას, რა იქნება მოკლე და გრძელვადიანი სოციალური, ეკონომიკური და ინსტიტუციონალური შედეგი. ვის შეიძლება ვანდოთ ამ პოლიტიკის განხორციელება და რომელი ინიციატივა უზრუნველყოფს ოპტიმალურ შედეგს; **პოლიტიკურ** კონტექსტში მოიაზრება, ის თუ ვის აქვს ყველაზე დიდი ლეგიტიმაცია, განსაზღვრული საკითხების გადაწყვეტისას; რა უფლებები გააჩნიათ ინდივიდებს მთავრობის

⁵⁴ Nunez A., Some Realism for Hard Cases, Theory and Practice of Legislation, Vol.13, No.1, 2005, 94.

⁵⁵ Shapiro S.J., Legality, Harvard University Press, 239.

⁵⁶ იქვე, 244.

⁵⁷ იქვე, 238.

წინააღმდეგ და როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს სისტემის მიზნები და ღირებულებები.⁵⁸

მოსამართლეები, როგორც წესი, მორალურ მოსაზრებებზე დაყრდნობით წყვეტენ რა გზით და კრიტერიუმით უნდა განავითარონ მსჯელობა, ასევე საზღვრავენ, როგორ უნდა დახვეწონ უკვე დადგენილი სასამართლო პრაქტიკა. კერძოდ ისინი, მართლმსაჯულების განხორციელებისას, იყენებენ იმ მორალურ შეხედულებებს, რომლებიც განერილია ნორმატიულ ცნებებში, საიდანაც თავის მხრივ იკვეთება: საზოგადოებრივი ინტერესი, სამართლიანობა, ბუნდოვანება, უზუსტობა, სიცარიელე და ა.შ. რომელიც საჭიროებს მოსამართლის მხრიდან შეფასებას. კერძოდ, სასამართლოები მორალური განსჯის საფუძველზე საზღვრავენ ორი ინტერპრეტაციიდან, რომელი ტექსტი არის შესატყვისი, რომელი სტატუტი შეიძლება გამოირიცხოს, არარელევანტურობის გამო, ორი კოლიზიური ნორმიდან რომელი უნდა იყოს გათვალისწინებული, ასევე როგორ უნდა მოხდეს ნორმის მორგება გაუთვალისწინებელ ან ახალ შემთხვევებზე და ა.შ. მიუხედავად ფორმალისტური მიდგომისა, რომ სასამართლოები არასოდეს ერთგებიან მორალურ განსჯაში, მაინც ცხადია, რომ პრაქტიკული თვალსაზრისით, მათ უწევთ ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებზე რეაგირება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მოსამართლეები გადანაცვლებას ვერ მიიღებენ მექანიკურად, მხოლოდ სამართლებრივ ტექსტზე დაყრდნობით.⁵⁹

3. დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ ფორმალისტების განმარტებით სამართლის სისტემა არის სრულყოფილი, რომელსაც გააჩნია ყველა სამართლებრივ საკითხზე სწორი პასუხი, ისინი მაინც ვერ უარყოფენ იმ გარემოებას, რომ სამართალში არსებობს ხარვეზები და სიცარიელები. აშკარაა, რომ ფორმალიზმი მოკირწყლადია სა-

⁵⁸ Dworkin R., *The Forum of Principle*, in: *A Matter of Principle*, Harvard University Press, 1985, 33, 69-71.

⁵⁹ Shapiro S.J., *Legality*, Harvard University Press, 246.

მართლის სისტემაში არსებული სიცარიელების, კოლიზიების და ბუნდოვანებების მიმართ, რაც წარმოაჩენს მას კანონიერების სრულყოფილების თვალსაზრისით ნაკლოვანს.

ფორმალიზმი, როგორც მართლსაზღვრულების თეორია, ემხრობა სასამართლო გადაწყვეტილების მიღების ზედაპირულ სტილს, ამ თვალსაზრისით ის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სამართლის ნორმები არ საჭიროებენ სიღრმისეულ მორალურ ანალიზს, თუმცა ვერ უარყოფს იმას, რომ სამართლებრივი დეფიციტის დროს სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის საკმარისი არაა მხოლოდ სამართლის ნორმის ტექსტის ინტერპრეტირება. კანონის არსი მდგომარეობს სწორედ ზოგად მორალურ იდეალებში და არა სამართლებრივ ნორმებში, ამიტომაც მორალურობა სძენს სამართლის ნორმებს წონას და აღჭურავს მას მნიშვნელოვანი ძალაუფლებით. ამასთანავე, ყურადსაღებია ის, რომ სასამართლო გადაწყვეტილება არის და უნდა იყოს სამართლის განვითარებისა და მორალურად სწორი კურსის განხორციელების ინსტრუმენტი. ფორმალისტური კონცეფცია იმის შესახებ, რომ მოსამართლე გადაწყვეტილების დასაბუთებისას არ ეყრდნობა მორალურ, ზნეობრივ ფაქტორებს, გულისხმობს იმას, რომ იგი უარყოფს, შესაძლებლობას – მოსამართლეებმა უპასუხონ საქმის სოციალურ იმპერატივებს; შეასუსტონ კანონი, როდესაც იგი იძლევა არაეფექტურ ან უსამართლო შედეგებს; მოახდინონ მოძველებული ნორმების ადაპტირება ახლებურ და გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან; აღმოფხვრან ნორმატიული ხარვეზები და სიცარიელები. ამგვარად, ძირითადი კრიტიკა სამართლებრივი ფორმალიზმისადმი, არის ის რომ იგი აკნინებს მოსამართლის როლს.

ფორმალიზმის მართლმსაჯულების თეორიის მიხედვით – სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტა უნდა მოხდეს კანონის მიღმა წყაროების მითითების გარეშე, მხოლოდ სამართლის ნორმების ფარგლებში (სამართლის ავტონომია); სამართლებრივი არგუმენტების წამყვანი წყარო არის სამართლებრივი ტექსტი და არა, მაგალითად, სამართლებრივი რეგულაციების მიზანმიმართული ინტერპრეტაცია (ტექსტუალიზმი); 1. სამართლებრივი ცნებების მნიშვნელობა (როგორიცაა საკუთრება ან თავისუფლება) განი-

საზღვრება კანონმდებლობის ან სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზით და 2. სპეციალური ნორმები, რომლებიც წარმოადგენს სასამართლო დავის გადაწყვეტის საფუძველს, შეიძლება ლოგიკურად იყოს განმარტებული სამართლის ცნებებიდან, სამართლის კონცეფციებიდან (კონცეპტუალიზმი); საკანონმდებლო ისტორია ან იურიდიული ტექსტის ორიგინალური გაგება სამართალშემფარდებლისვის გადამწყვეტ როლს თამაშობს სამართლებრივ ტექსტსში არსებული ბუნდოვანების აღმოფხვრისთვის (ორიგინალიზმი); საპროცესო კანონმდებლობის „გეომეტრიზაცია“ – კანონის შინაარსი მოიაზრებს კანონის შინაგან თანმიმდევრულობას, სისტემატურობას და რაციონალურობას. სამართლებრივი სისტემა ამ თვალსაზრისით შეიძლება მივამსგავსოთ ევკლიდიეს გეომეტრიულ სისტემას, თავისი თეორიებითა და აქსიომებით, რა დროსაც სამართლებრივ საკითხზე პასუხის გაცემა შესაძლებელია სისტემის ლოგიკურობიდან, რომელიც თავის მხრივ სრულყოფილად დედუქციურია და ყოველთვის მკაფიოა;